

# Caparol AcrylFassadenfarbe

მქრქალი, წყალში ხსნადი, ატმოსფერული მოვლენებისადმი მედეგი საღებავი ფასადების მინერალური ზედაპირებისათვის



## მასალის აღწერა

გამოყენების სფეროები

თეთრი და ფერადი ატმოსფერული მოვლენებისადმი მედეგი საღებავი ფასადების მინერალურ ზედაპირების შესაღებად..

თვისებები

- ეკოლოგიურად სუფთა,
- წყალში ხსნადი,
- მარტივი მოხმარებისთვის,
- ატმოსფერული მოვლენებისადმი მედეგი
- წყალგამტარიანობა (კლასი1 DIN EN 1062-ის თანახმად),
- მაღალი ორთქლდიფუზიურობა (გამტარიანობა) (კლასი1 DIN EN 1062-ის თანახმად),
- კარგი დაფარვისუნარიანობა (კლასი 3 DIN EN 13300-ის თანახმად, 7 მ2/ლ).

მასალის შემკვრელი

დისპერსია სინთეტიკური ფისის ბაზაზე.

შეფუთვა ბაზა 1

10 ლ.

ფერი ბაზა 1

თეთრი

Caparol AcrylFassadenfarbe შეფერადება ხდება მანქანურად ColorExpress-ის სისტემის თითქმის ყველა ღია ტონში. ასევე შესაძლებელია ხელით, ჩვეულებრივი დისპერსიული საღებავებით (მაგალითად CaparolColor), ან პიგმენტური კონცენტრატებით. დამოუკიდებელი შეფერადებისას, ფერთა ტონებში სხვაობის აცდენის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია აურიოთ საღებავის მთლიანი რაოდენობა.

სიპრიალის ხარისხი

მქრქალი

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ პირობებში, მოარიდეთ ყინვას და მზის პირდაპირ სხივებს. შენახვის ვადა ორიგინალურ შეფუთვაში - მინიმუმ 24 თვე.

ტექნიკური პარამეტრები DIN EN 1062-ის მიხედვით

- სიმკვრივე: დაახლოებით 1.55 გ/სმ3.

შენიშვნა

კოლირების შემდეგ შესაძლებელია ტექნიკური პარამეტრებიდან უმნიშვნელო გადახრა.



## გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

ცემენტი, კირ-ცემენტი, ცემენტის ბათქაშები, ბეტონი, აგური და სილიკატური აგური.

ზედაპირის მომზადება

მთლიანად მოაცილეთ ხავსი, წყალმცენარეები, ჩამოფშვნილი და დაბინძურებული ადგილები გაწმინდეთ წყლის მაღალი წაჭლის მეშვეობით ან მშრალი მექანიკური წმენდით. გასუფთავების შემდეგ ზედაპირი უნდა იყოს მყარი, სუფთა, ადჰეზიის დამაბრკოლებელი ნივთიერებებისგან თავისუფალი და მზიდი უნარის მქონე.

### ცემენტის P II და P III ხსნადი ჯგუფების ბათქაშები:

ახალი ბათქაშები დატოვებულ დაუმუშავებლად, როგორც წესი 2-4 კვირის მანძილზე, ამინდის პირობებიდან გამომდინარე. შებათქაშებული ადგილები კარგად უნდა გაშრეს და გამაგრდეს. უხეშფოროვანი, შემწოვი ზედაპირის მქონე ბათქაშები მსუბუქი ქვიშანაყარით აუცილებელია დაიგრუნტოს CapaSol LF-ით. ძლიერ ცარცვადი ბათქაშები დაიგრუნტოს მასალით - Dupa-grund-ი.

### ბეტონი:

დაბინძურებული ზედაპირები უნდა გასუფთავდეს მექანიკურად, ან წყლის წაჭლის გამოყენებით, შესაბამისი ნორმების დაცვით. სუსტად შემწოვი და გლუვი ზედაპირები უნდა დაიგრუნტოს Capagrund Universal-ით, შემწოვი ზედაპირებზე გამოიყენეთ CapaSol LF, ხოლო ცარცვად ზედაპირებზე Dupa-grund-ი.

### კლინკერის აგური:

ვარგისია მხოლოდ ყინვაგამძლე აგური უცხო ჩანართების გარეშე. წყობა უნდა იყოს მშრალი, მარილის ნალექის და ბზარების გარეშე. საგრუნტავ ფენად გამოიყენეთ CapaSol LF, უმჯობესია Dupa-grund-ი.

### დისპერსიული საღებავების მზიდი ზედაპირები:

ძველი დანაფარების დაბინძურებული და ცარცვადი ადგილები გაწმინდოს წყლის წაჭლით სათანადო წესების დაცვით და დაიგრუნტოს Capagrund ან Capagrund Universal-ით. წინასწარი ფენა დაედოს Caparol AcrylFassadenfarbe - მაქსიმუმ 10% წყალთან გაზავებული, ან Capagrund-ი. ხელით, ან სხვა შესაბამისი მეთოდით გაწმენდისას სასურველია დაიგრუნტოს Dupa-grund-ით.

### არამზიდი მინერალური დანაფარები:

მთლიანად მოცილდეს ჭაგრისით, ზემფარის ქაღალდით, ან წყლის წაჭლით, შესაბამისი წესების დაცვით. სველი მეთოდით გაწმენდის შემთხვევაში ზედაპირი კარგად უნდა გაშრეს შემდგომი დამუშავებისათვის. იგრუნტება Dupa-grund-ით.

### მარილის ნალექის მქონე ზედაპირები:

მარილი მოიწმინდოს მშრალი ჭაგრისით. დაიგრუნტოს Dupa-grund-ით. ასეთი ზედაპირების შემთხვევაში არსებობს მარილების გამოტანის განმეორებითი შანსი, ამიტომ, დანაფარის ხანგრძლივი სიმტკიცის გარანტიას ჩვენ ვერ ვიძლევი.

### მცირე ზომის დეფექტები:

შესაძლებელია გამოსწორდეს Caparol Fassaden-Feinspachtel-ის საგოზავი მასით. 20 მმ-ამდე ზომის დეფექტების ამოსავსებად გამოიყენება Capalith Fassadenspachtel P, ან Histo-lith-Renovierspachtel. შერემონტებული ადგილები შემდგომ დაიგრუნტოს - CapaSol LF-ით.

დატანის მეთოდები

ფუნჯით, გორგოლაჭით, ან უჰაერო მიფრქვევის მეთოდით.

დაფარვის სტრუქტურა

გრუნტით დაფარვა: CapaSol LF

#### შუალედური დაფარვა:

Caparol AcrylFassadenfarbe, გახსნილი მაქსიმუმ 10% წყალში.

#### დამასრულებელი დაფარვა:

Caparol AcrylFassadenfarbe, გახსნილი მაქსიმუმ 5% წყალში.

ხარჯი

დაახლოებით 150 მლ/მ<sup>2</sup> ერთ ფენაზე - გლუვი ზედაპირისათვის. ფაქტურული ზედაპირის შემთხვევაში მოსალოდნელია ხარჯის ზრდა. ზუსტი ხარჯი განისაზღვრება

გამოყენების პირობები

ჰაერისა და ზედაპირის ტემპერატურა მინ. +5 C.

შრობის დრო

ჰაერის +20° ტემპერატურისა და 65%-იანი ტენიანობის პირობებში, ზედაპირი შემდგომი სამუშაოებისათვის მზადაა 4-6 საათში. ზედაპირი სრულად მშრალია და მზადაა დატვირთვებისთვის 3 დღეში. შედარებით დაბალი ტემპერატურისა და მაღალი ტენიანობის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება.

შენიშვნა

იმისათვის, რომ დამუშავებულ ზედაპირზე ცალკეული ნაწილების გადაბმის საზები არ დარჩეს შესამჩნევი, პროდუქტის დატანა უნდა მოხდეს ერთი მოსმით, „სველი - სველზე“ პრინციპით. მასალა გამოუსადეგარია წყლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ჰორიზონტალური ზედაპირებისათვის.

**მითითებები**

ყურადღება

**მოარიდეთ ბავშვებს!**

თვალში მოხვედრისას სასწრაფოდ მოიბანეთ წყლით. არ შეისუნთქოთ მიფრქვევისას წარმოქმნილი „ღრუბელი“. არ დაუშვათ პროდუქტის მოხვედრა კანალიზაციაში/გამდინარე წყლებში და ნიადაგში. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მონაცემთა უსაფრთხოების ფურცელი.

უტილიზაცია

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას, როგორც წყალდისპერსიული საღებავის ნარჩენი. გამხმარი საღებავი კი როგორც სამშენებლო ან საყოფაცხოვრებო ნაგავი.

**VOC**

აქროლადი ორგანული  
შენაერთების ზღვრული  
კონცენტრაცია ევროკავშირის  
სტანდარტის შესაბამისად

პროდუქტის კატეგორია (Kat. A/a): 40 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 15 გ/ლ აქროლადი ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

შემადგენლობა

ხელოვნური ფისის დისპერია, ჰიგმენტები, მინერალური შემავსებლები, წყალი, ადიტივები, კონსერვანტები.

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

**შპს კაპაროლ ჯორჯია**

აღ. ქართველიშვილის ქ. N8  
0198 თბილისი საქართველო  
office@caparol.ge  
www.caparol.ge